ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრეზეგ

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 187. კვირა, 23 აგვისტო 1909 წ. დამატების № 33.



ძალმომრეოგა,

სურათი ლილიეფორსისა.

უეცარი ტალღა.

დრამა ოთხ მოქმედებად.

(შემდეგი*)

მოქმედება მეორე.

პირველი სცენა ცოტა შეტრიალებულია. ისე რომ არჩილის ოთახი ეხლა მარჯვნივ არის მოქცეული და იმისი მხოლოდ ფანჯრებიღა მოსჩანან სცენაზე. მარცხნივ ეკლესიაა. უკან, ცოტა მომარცხნოდ ისევ ზღვისკენ გადამყურე ნაპრალია და სხვა.

დილის რვა საათია.

აივანზე სდგას მაგიდა, რომელსაც გარს შემომწკრივებიან ექვთიმე, სვიმონი, ღვთისო, არჩილ, შალვა და ლელა და ჩაის სმა გაუჩაღებიათ.

ღვთისო. (გადაწვდის ლელას ჭიქას) აბა ლელაჯან! ეხლა საკუთრივ შენ სადღეგრძელოს დავლევ!

ლელა. (ართმევს ჭიქასა და უსხავს ჩაის) მხოლოდ ერთბაშათ კი გადაჰკარი, აი!

ღვთისო. ოჰ! პირი ხომ გამოვიფუფქე სულა! მერე სხვა დროს აღარ გინდა კიდევ გადღეგრძელო?

ლელა. არა, ერთხელ და მადლიანად.

არჩ. რასაკვირველია.

ღვთისო. (არჩილს) მაშ ჯერ შენ დალიე და ალაგერდიც ჩემთან მოდი! აი, მაშინ კი დავლევ მეცა!

სვიმ. რავქნა! ჩინელები ხომ არა ხართ, რომ ჩაით აპირობთ სადღეგრძელოს დალევასა! განა ჩვენი მადლიანი ზედაშე აღარა გვაქვს?

ლელა. (ღვთისოს) აჰა, შეგეშინდა! ეხლა აღარც მადლი ექნება ეგეთ დღეგრძელობასა. ისევ ჩუმად დალიო, ისა სჯობია.

ღვთისო. მაშ მერე ნუნუათი ერთი სამათ გიზღავ, ჩემო ლელა, კარგი!

ლელა. რომ იზარალო მერე?

ღვთისო. დაე, ვიზარალო, მაგაზე შენ რა გადარდებს!

ექვ. ჩვენ მებადურებს ალბად კალმახები დაფრთხობიან, რომ დაიგვიანეს.

სვიმ. შალიკო, აბა გაიხედე, გემი ხომ არ მოსჩანს! კი არ დაგვიგვიანდეს.

ექვ. არა, ჯერ ადრეა.

შალვა. (შედგება ფიტრის სკამზე და გაიხედავს ზღვისკენ) არაფერი არა სჩანს.

არჩ. ნეტა დღეს სულაც არ მოვიდოდეს!

სვიმ. რატომ?

არჩ. იმიტომ რომ ხვალამდის კიდევ აქ დარჩებით და ეს კი ძალიან სასიამოვნოთ დაგვრჩებოდა მეცა და ბიძაჩემსაც, არა ძია?

ექვ. ოღონდ კი დარჩებოდნენ და მე სხვა რით შემიძლიან გავსცე პასუხი, თუ არა—გულწრფელი სიამოვნებით!

სვიმ. თქვენი სიამოვნება ჩვენთვისაც სიხარული იქნებოდა, მაგრამ მაინც გმადლობთ უხვ მასპინძლობისთვის. დღეს უეჭველად უნდა წავიდეთ, რადგან იქ ათასნაირი საქმეა, და ყველა თავის პატრონსა თხოულობს.

არჩ. ეხ, საქმე, საქმე! რა საჭიროა ისეთი საქმე, რომელიც სიამოვნებასა და სიხარულს მხოლოდ ამოკლებს და ხელს უშლის რიგიანად დასტკბეს მათით ადამიანი!

შალ. თქვენ მართლა ეგრე გულით გინდათ ჩვენი აქ დარ ჩენა?

არჩ. კითხვა რა საჭიროა! აი, დარჩით. ბატონო, და მაშინ დაინახავთ, მართლა სასიხარულო იქნება თუ არა ჩემთვის თქვენი აქ დარჩენა.

შალ. ეგ მე მწაამს, მაგრამ... (დიმიდით გადაჰხედავს ლელასა და ღვთისოს თითქოს რადაცაზე უთითებსო).

ღვთ. (მიხვდება შალვას აზრს. არჩილს) მერე ჩვენც ხომ იმ ქვეყნიდან იმ ცხოვრებიდან, იმ ხალხიდანა ვართ, რომელსაც შენ გამოექეცი? ვერ გაგვიგია, მაშ რალათ გეინტერესება ეგრე ჩვენთან ერთად ყოფნა?

არჩ. კაცის იქ ყოფნასა და აქ ყოფნას შუა დიდი გარჩევაა.

ღვთ როგორ?

არჩ. იქ კაცი მთელი თავისი სიკეთით, თავისი ბედნიერებით, სიხარულით, სიწმიდავით ჩაფლულია ცხოვრების მორევში, ცხოვრების ტალახში, საიდანაც ყველაფერ იმის საინჯეს ეცხრობა შუჭყი. აქ კი სულ სხვაა.

ექვ. არჩილი მართალს ამბობს. ვინც აქ მოდის, ყველა განიწმინდება ხოლმე სულითა და გულით და ადამიანში რჩება ხალასი სიკეთე და სანეტარო სიწმიდავე, რაც კაცს აახლოვებს ზეციურ ცხოვრებასთან და აშორებს ქვეყნიურ ანგარებასა და უნაყოფო არარაობს.

არჩ. აქ კაცში იღვიძებს სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა, აღტაცებისა და ნეტარების წყურვილი და წრფელი, ფაქიზი აზრები. იმისი სულიცა და გულიც თითქოს უცნაურათ იზრდება აქ, ნათლდება და ამიტომ მეც ესეთის აღტაცებითა და გულწრფელობით ვაგებებ ყველა აქ მოსულს ჩემ სიხარულსა და სიამოვნებას.

რევოლიუცია ესპანიაში.

ბარიკადა ბარცელონაში.

ღვთისო. აქედგან წავალთ თუ არა, მაშ ჩვენი სიკარგისა აღარა გეწამებარა, ჰა?

არჩ. ოო! როგორ არა, მეწამება! მაგრამ ამასთან ერთად ისიც მეწამება, რომ იქ, ფართო ცხოვრებაში, ყველა უძლურია სავსებით გამოიჩინოს თავისი სიკეთე და კეთილი განზრახვანი, რადგან ამათთვის საჭიროა უსამზღვრო ასპარეზი. დღევანდელ ცხოვრებაში კი ადამიანი შეზღუდულია უკანონობის ათასნაირ კედლებითა და გაუვალ ხრამებით.

სვიმ. აი, წამობრძანდით, გენაცვა, ჩემთან და დაგიმტკიცებთ, რომ ამ გათახსირებულ ცხოვრებაში მე მაინც შემძლებია ღირსეულ ადამიანების შესაფერი სიკეთითა და პატივისცემით გამასპინძლება (სიჩუმე).

ღვთისო. ჰა, რას ეტყი, არჩილ? პასუხი გაეცი რაღა!

არჩ. ხალხში ცხოვრებისთვის რომ მარტო თქვენი მეგობრული და კეთილი გულით მოპყრობა კმაროდეს, მაშინ

*) იხ. სურათებიანი დამატება № 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე სიხარულის ფრთებს შევისხამდი და ისე გავყვებოდი თქვენს მოწოდების, მაგრამ მაგ თქვენის გულუხვობით დაჯილდოვებული მე მაინც ღარიბად დავრჩები ცხოვრებაში და ამიტომ...

ექვ. რაც უფრო ეჩვევა აქაურ ცხოვრებას, მით უფრო მეტათა სძულდება და ბეზრდება იქაური ცხოვრება.

ღვთისო. მაშ რას შეუძლიან გაგამდიდროს, გაგაბედნიეროს, არ შეიძლება გაგვაგებინო?

არჩ. მე გავმდიდრდები მაშინ, როცა ადამიანს წინ აღარაფერი გადაეღობება და ის თავის სულიერ სიმდიდრეს, თავის გულის სიუხვეს თავისუფლად გაუნაწილებს ყველას და თვითონაც თავისრფლად ისარგებლებს სხვის სიმდიდრითა და სიუხვით.

რევოლიუცია ესპანეაში.

დაპატიმრებული რევოლიუციონერები.

ღვთისო. და ეგ როდის იქნება ნეტავ!...

არჩ. როცა უნდა იყოს. მე ბედნიერად ვიგრძნობ თავს მხოლოდ მაშინ, როცა მთელი ცხოვრება ერთიანათ გამოიცვლის თავის ეხლანდელ სახეს: როცა ის შეიმოსება პატიოსნებითა და სიფაქიზით, როცა მასში ალაპლაპდება სიყვარულისა და სიდიადის ალი, დაიწყებენ ხარებას წრფელი წარმტაცი აზრები და ყველას თავზე ედგმევა სილამიზის გვირგვინი, მაშინ ის შეიქნება ჩემ სიცოცხლედ, ჩემს ღვთაებად და მეც თავდავიწყებით მეყვარება და ვიშრომებ მისთვის, რადგან გახალისებული ვიქნები მის ნეტარბის სიყვარულით და ჩემი გულიც განათებული იქნება მისი შარავანდედის სხივებით.

ექვ. ეხ, შვილო! ვინ მოესწრობა ეგრეთ ნეტარ ქვეყანას, ვინ! იქნება მარტოდენ უკვდავი ქერუბიმები და სერაბიმები და არა ჩვენ, წუთი-სოფლის საბრალო შვილები.

ღვთისო. შენ თვითონაც კარგად იცი, რომ ეგეთი ცხოვრება მხოლოდ ოცნებაა, და მაშ მთელი სიცოცხლე ეგრე გარე გარე ხალხისაგან მოწყვეტი უნდა იარო!

არჩ. მე აკი ეგრეცა ვშვრები.

ღვთ. მაშ, ადგნენ და ყველანი შენსავით გაექცნენ რაღა ცხოვრებას! მაშინ რაღას ეგვანება მთელი ქვეყანა! მაშინ ხომ სულ დაიქსაქსა, დაინგრა და აირია ყველაფერი, რაც აქამდის უშენებია და უკეთებია ხალხს!

არჩ. ნეტავი როდის მოვესწრები იმ დროს, რომ ყველანი გაურბოდნენ ეხლანდელ ცხოვრებას იმიტომ, რომ მასში არა სჩქეფს სიხარულის წყარო, არ იზრდება შვებისა და ბედნიერების ყვავილი, არ ამოდის სილამაზისა და მშვენიერების ცისკარი და ადამიანი სუნთქავს ტანჯვისა, და უსამართლობის ჰაერით.

ღვთ. მერე, რა იქნებოდა მაშინ?

არჩ. მაშინ ეს გაფანტული ხალხი შეეერთდებოდით წამსვე, ჩავკიდებდით ხელი-ხელს და ერთის შრომით, ერთის სურვილითა და გატაცებით ავაშენებდით ახალ, უკეთეს ცხოვრებას და დავამსგავსებდით სამოთხისებურ ბაღნარს, საცა ყველას სიცოცხლე გაიფურჩქნებოდა კოკორ ვარდივით და დასჭკნებოდა მასავით ტკბილად; სადაც ადამიანები ოცნებით შეჰყურებდნენ ცაზედ მოკამკამე ვარსკვლავებს, აღტაცებით უმზერდნენ ყოველგვარ სილამაზეს, სიდიადეს და თავით ფეხამდის იმსჭვალებოდნენ ყოველგვარ სიხარულითა და ბედნიერებით, მაგრამ...

ღვთ. მაგრამ ვერც მაგას ვეღირსებით.

არჩ. როგორ ვეღირსებით, როცა საუკუნოებმა აღზარდეს ჩვენში მონური სული და ჩვენც ყოველგვარ უკმაყოფილებასა და მისწრაფებას ვუმორჩილებთ ჩვენშივე აღზდილ მონობას და ვქელავთ მის უწმაწურ ფეხებ ქვეშ?..

ღვთ. რა ვუყოთ, ჩემო არჩილ! ამოდენა საუკუნოებით ნაშენ ცხოვრებას მარტო ჩვენ ხომ არ დავაქცევთ? ჩვენც უნდა ძალა უნებურათ ვაშენოთ ის, ვიდრე თავისივე სიმძიმე არ დააქცევს მას.

არჩ. რაღაა მაშინ ის სურვილი, ის მისწრაფება სიყვარულისა და სიხარულისაკენ, თავისულებისა და ჭეშმარიტებისაკენ, თუ კი მე მთელ ჩემ სიცოცხლეს მოვანდომებ ცხოვრებაში უსამართლოებისა და საზიზღრობის, დაბეჩავებისა და გათახსირების აშენებას და განმტკიცებას?

შალ. უტოპიაა! (არჩილ დამცინავის ღიმილით გადაჰგედავს).

ღვთ. ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, ხომ იცი?

არჩ. დაე, ნუ მოვა გაზაფეული; მაგრამ დაე, ამ ერთმა მერცხალმა მაინც იჭიკჭიკოს! დაე, მან ახაროს თავისი გული და ჩვენც დაგვიტკბოს სმენა, ვიდრე გაიყინებოდეს მარტის სასტიკ სიცივისაგან. (ეკვდანი იდმებიან).

შალ. და ღვთ. ეხ, პოეტო, პოეტო!..

სვიმ. წამოდით, გენაცვა, ჩემთან, მე არ გაგყინავთ! მე ჩემის სიყვარულით, ჩემის თანაგრძნობითა და სიკეთით ისე თბილად შეგფუთნით, რომ მთელი სიცოცხლე ცივი ნიავიც კი არ იგრძნოთ.

არჩ. მერე სიცივის შიშით რომელ მერცხალს აურჩევია გალიაში ჯდომა?

ღვთ. (წამოდგება და ბეჭებზე ხელსა სცემს არჩილს) ეხ, არჩილ! როგორც გატყობ, სულ ამაოა ჩვენი თხოვნა!

არჩ. ამაოა, გენაცვა ამაო! (ელდა შეუმჩნეველის წყენით ადგება და მიდის ნაბირისაკენ).

ექვ. არჩილი რომ მართლა დათანხმდეს წამოსვლას, მე რაღა პასუხს მაძლევთ მერე? მაგის აქ მოსვლით, ასე მგონია, ჩემ გულში რაღაც სურნელოვანი ვარდი ამოვიდა მეთქი და ეხლა რომ თავი გამანებოს, ეს ხომ ჩემი გულიდან ამ ვარდის ამოწყვეტა იქნება!

სვიმ. (თითქოს სერიოზულად, თითქოს ხუმრობით) მაშინ თქვენც წამობრძანდით!

ექვ. ეგ კი შეუძლებელია!

სვიმ. მაშ სხვა რავუყოთ! შეუძლებელს ხომ ვერ შევსძლებთ? მაგის პირობას ვერ მოგცემთ, გენაცვა!

შალ. ე ტიტომა და ალექსიმ როგორ დაიგვიანეს! დღეს კი არ დაგვარჩინონ აქა და!

არჩ. არა, ჯერ ადრეა, (ძალვა მკლავს მკლავში გაუყრის არჩილს. ორივენი ელდას გვერდით გაიგლიან. ელდა მობრუნდება მათკენ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შილ. შენ რაღა ობლათ დგეხარ, ლელა? (მეორე ხელს მოჭიდებს ლელას და მიდიან ბიჯიკზე. ჩქარა ეფარებიან).

სვიმ. (მიიხედ-მოიხედავს და რა დარწმუნდება, მარტონი არიან, მამართავს ექვთიმეს) მამაო ექვთიმე, დაბრძანდით! მე მართლა სერიოზულ რამეზე მინდა მოგელაპარაკოთ!

ექვ. ბრძანეთ, გენაცვა, მე მოწიწებით ყურს გიგდებთ!

ღვთ. (სვიმონს) არჩილის შესახებ, არა?

სვიმ. ჰო, არჩილის შესახებ.

ექვ. მე მზადა ვარ მოგისმინოთ.

სვიმ. მე არ შემიძლიან გულგრილათ ვუცქირო არჩილის ეგრეთ განდეგილობას. მე ჩემ თავს ნებას არ მივცემ, რომ ის სურნელოვანი ვარდი, რომლის ყნოსვითაც მე და ჩემი შვილები ვსტკბებით, სჭკნებოდეს უყურადღებობისა და მოურწყაობის გამო.

ექვ. ეხლა რას ფიქრობთ ვითომ?

სვიმ. ეხლა იმასა ვფიქრობ, რომ ეს ვირდი ისევ იმ ადგილას გადავრგათ, სადაც აღზრდილა პირველად და მის მებაღეთ, მის მომვლელათ მე თვითონ დავდგები.

ექვ. მერე არჩილი თვითონ რომ არა სთანხმდება?

სვიმ. თქვენ შეგიძლიანთ დაიყოლიოთ როგორმე.

ექვ. სიდან, გენაცვათ?

სვიმ. თქვენი გავლენა დიდია მასზედ. თქვენ უყვარხართ და ხათრიც ძალიანი აქვს თქვენი.

ექვთ. კაცს კაცი რაც გინდა ძალიან უყვარდეს, მას შეუძლიან ამ სიყვარულისთვის სიცოცხლეც შესწიროს, მაგრამ არასდროს კი არ დასთანხმდება დაუბრუნდეს ისეთ ცხოვრებას, სადაც ყოველი წამი დაკარგულად მიაჩნია, ყოველი გადადგმული ნაბიჯი ტალახში ჩაფვლას მოასწავებს და ყოველი ხმა მხოლოდ საზიზღრობასა და გათახსირებას აგონებს, სხვაარაფერსა. მეტადრე მაშინ, როცა ამ მსხვერპლს არაფერი სარგებელი არ მოაქვს იმისთვის, ვის სიყვარულსაც უნდა შეეწიროს იგი.

ღვთისო. ოო, მამაო ექვთიმე! გვჯერა თქვენი ძვირფასი სიტყვების ჭეშმარიტება, მაგრამ აქ ცოტა გაუგებრობაა. არჩილს გული გასტეხია ხალხზე და ეხლა ჩვენ გვინდა დავუმტკიცოთ, რომ ხალხში მაინც მოიძებნებიან ისეთი პირები, რომლებიც მზად არიან გულწრფელათ დააფასონ ყველა ღირსეული ადამიანი; არჩილს გული გასტეხია ცხოვრებაზე და ჩვენ დაუმტკიცებდ, რომ ცხოვრებაში მაინც არის ისეთი სიამე, რაც დაატკბობს არჩილის გულს; რომ იქ მანც არის ისეთი საუნჯე, რაც გაამდიდრებს არჩილის ისედაც მდიდარ ბუნებას და შემდეგში ჩვენ, ხალხსაც, გაგვაბედნიერებს ამ თავის სილამაზისა, მგრძნობიერობისა და შემოქმედების სიუხვით.

ექვთ. მე, მართალია, ძალიან მიყვარს არჩილი, მაგრამ თუ ის მოისურვებს, მე შემიძლიან დავსთმო ეს სიყვარული. მე შემიძლიან ჩემს მეუფესთან ლოცვა-ვედრებაშიც მოვიპოვო ხოლმე შვება, იმედი და მე ესეც მეყოფა სიხარულად, სიყვარულად, ვიდრე მივიდოდე სამარის კარამდის.

სვიმონ. ჩვენ არცა გვგონია, რომ გზას გადაუღობავთ, თუ კი არჩილი მოისურვებს, მაგრამ საქმე იმაშია, თუ როგორ მოვასურვებინოთ არჩილს ეს.

ექვთ. მაგისი კი რა მოგახსენოთ. მონასტრიდან არჩილის გადასახლება ძალიან ძნელი რამაა და ამ ძნელ საკითხის გადასაწყვეტად კი ისე ცოტა დროა, რომ მასზე ლაპარაკი უბრალო თავის შეწუხება იქნება: თქვენ ხომ ცოტახანს მერე მიემგზავრებით!

ღვთისო. ჩვენი წასვლა ხელს არ შეუშლის. თუ დავატყე, ცოტა ყოყმანი მაინც დაიწყო, მე მაშინვე აქ დავრჩები, ვიდრე საბოლოოდ გადასწყვეტდეს და მერე ერთად გავემგზავრებით ქალაქისაკენ. ჩვენები კი დღეს წავლენ.

ექვთიმ. მე არ მესმის, ან ყოყმანი კი როგორ შეიძლება დავაწყობინოთ, როცა მას აზრად არც კი მოსდის მარტო კითხვა მაინც დასვას თავის თავის წინ, შეუძლიან თუ არა რამე ნაირათ გაანებოს აქაურ ცხოვრებას თავი.

სვიმონ. თქვენ დაეკითხეთ, ურჩიეთ, და თქვენ რჩევასაც დიდი გავლენა ექნება მასზე!

ღვთისო. თქვენ მოვალე ხართ, მამაო ექვთიმე, ეცადოთ, რომ არჩილის ახალგაზრდობა, მისი შემოქმედება, მისი სიყვარული იფურჩქნებოდეს და ჰყვაოდეს იქ, სადაც უფრო მეტ საზრდოსა ჰპოვებს იგი და უფრო მეტ სურნელოვანებას მოჰფენს თავის გარშემო, რომლითაც უფრო მეტად დასტკბებიან და დასთვრებიან მის მყნოსავნი და მაცქერალნი, ვიდრე ეხლა

ექვთ. აბა, მიჩვენეთ რა შემიძლიან გავაწყო, რომ დაგეხმაროთ?

სვიმონ. სადილობის დროს მე ერთხელ კიდევ ჩამოვუგდებ არჩილს ლაპარაკს ქალაქში დაბრუნების შესახებ. ერთხელ კიდევ გავუმეორებ ჩემ გულწრფელ წინადადებას რომ წამოვიდეს ჩემთან და როგორც საკუთარ შვილს, ისე მოვუვლი, ისე ვაცხოვრებ.

ექვთ. მე დიდად მოხარული ვარ, რომ, თუ ყველაში არა, თითო-ოროლა ადამიანში მაინცი მოიპოვება კიდევ ეგეთი უსამზღვრო გულკეთილობა. მერე?

სვიმონ. მერე ისა, მამაო, რომ თქვენ ამ ჩემ გულწრფელ რჩევას წინ კი არ გადაეღობოთ, როგორც წელან, არამედ უფრო ხელი მოუმართოთ თქვენის რჩევითა და დარიგებით.

ექვთ. ძალიან კეთილი. ვეცდები, როგორც კი შემეძლება.



ახალი ზარბაზანი.

ეს ზარბაზანი დამზადებულია ჰაეროსტატების წინააღმდეგ. რამწამს გახშირდა ლაპარაკი ჰაერში ფრენაზე, იმ წამსვე ცნობილ კრუნჰის ქარხანაში შეუდგნენ ასეთ ზარბაზნების მზადებას.

ღვთისო. აბა მაშ თქვენ იცით! ჩვენ რომ ეს მისსია შევასრულოთ, მე დარწმუნებული ვარ, ბოლოს თვითონ არჩილიც დიდი მადლობელი დაგვრჩება. თუ არა და ყოველ შემთხვევაში ეს მონასტერი ხომ არსად არ გაიქცევა, ისევ აქ არ იქნება?

სვიმონ. თქვენ იცით, მამაო ექვთიმე, როგორც ხელს მოუმართავთ ჩვენ გულწრფელ განზრახვასაცა და არჩილი სიკეთესაცა.

ექვთ. გმადლობთ, კეთილო ადამიანებო, ეგრეთი გულშემატკივრობისათვის, გმადლობთ! თქვენი სახელი სიკვდილამდის იქნება ჩაწერილი ჩემ გულში, რომ ზეციერთან ვედრების დროს, ყოველთვის პატივისცემით მოვიხსენიო ხოლმე იგი.

(შემდეგი იქნება).

ლევ. მეტრეველი.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე** ელექტრო-მბეჭდავი **მ. დ. კიკნაძისა**, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.